

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
GEORGIAN STATE ELECTROSYSTEM

ბრძანება

ქ. თბილისი

10.03. 2021 წ.

N 23

საბითუმო ბაზრის სუბიექტის მიერ საკომუნიკაციო სისტემით სარგებლობის შემოწმების წესისა და საბითუმო ბაზრის სუბიექტის მიერ საკომუნიკაციო სისტემით სარგებლობის შესაბამისობის შესახებ ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ წესდების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „კ“ ქვეპუნქტებისა და „ელექტროენერჯის ბაზრის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ 2020 წლის 16 აგვისტოს N46 დადგენილების დანართი N2-ით დამტკიცებული ელექტროენერჯის საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის წესების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

- თანდართული სახით დამტკიცდეს:
 - საბითუმო ბაზრის სუბიექტის მიერ საკომუნიკაციო სისტემით სარგებლობის შემოწმების წესი (დანართი N1);
 - საბითუმო ბაზრის სუბიექტის მიერ საკომუნიკაციო სისტემით სარგებლობის შესაბამისობის შესახებ ოქმის ფორმა (დანართი N2).
- დაევალოს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ამ ბრძანების გამოქვეყნება სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ვებ-გვერდზე (www.gse.com.ge).
- კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის მართვის დეპარტამენტს.
- ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე

უჩა უჩანეიშვილი

საბითუმო ბაზრის სუბიექტის მიერ საკომუნიკაციო სისტემით სარგებლობის შემოწმების წესი

მუხლი 1. შესავალი დებულებები

საბითუმო ბაზრის სუბიექტის მიერ საკომუნიკაციო სისტემით სარგებლობის შემოწმების წესი (შემდგომ - წესი) შემუშავებულია „ელექტროენერჯის ბაზრის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ 2020 წლის 16 აგვისტოს N46 დადგენილების დანართი N2-ით დამტკიცებული ელექტროენერჯის საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის წესების (შემდგომ - ბაზრის წესები) საფუძველზე და არეგულირებს საბითუმო ბაზრის სუბიექტის მიერ საკომუნიკაციო სისტემით სარგებლობის ბაზრის წესებით განსაზღვრულ პირობებსა და მოთხოვნებთან შესაბამისობის პროცესს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესის მიზნებისთვის ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **საბითუმო ბაზრის სუბიექტი** - „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის N246 დადგენილებით დამტკიცებული ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის მე-4 მუხლით განსაზღვრული სუბიექტი, რომელსაც საქართველოს ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ოპერატორისთვის ბაზრის წესებით დადგენილი წესით წარდგენილი აქვს დაბალანსებაზე პასუხისმგებელ პირად რეგისტრაციის სტანდარტული განაცხადი ან დაბალანსების მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრაციის სტანდარტული განაცხადი;

ბ) **სარეგისტრაციო განაცხადი** - საბითუმო ბაზრის სუბიექტის მიერ ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ოპერატორისთვის დადგენილი წესით წარდგენილი დაბალანსებაზე პასუხისმგებელ პირად რეგისტრაციის სტანდარტული განაცხადი ან დაბალანსების მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრაციის სტანდარტული განაცხადი;

გ) **სსე** - სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“.

2. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც განსაზღვრულია „ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონით და ბაზრის წესებით.

მუხლი 2. მოსამზადებელი ეტაპი

1. სარეგისტრაციო განაცხადის ბაზრის წესებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენისთანავე, სსე უზრუნველყოფს:

ა) საბითუმო ბაზრის სუბიექტის ინფორმირებას საბითუმო ბაზრის სუბიექტის მიერ საკომუნიკაციო სისტემით სარგებლობის ბაზრის წესებით განსაზღვრულ პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის პროცესის მოსამზადებელი ეტაპის დაწყების თაობაზე;

ბ) ბაზრის მართვის ელექტრონულ სისტემაში საბითუმო ბაზრის სუბიექტის მომხმარებლის პარამეტრების შექმნას და აღნიშნული მონაცემების საბითუმო ბაზრის სუბიექტისათვის გაგზავნას;

გ) საბითუმო ბაზრის სუბიექტისათვის ინფორმაციის მიწოდებას შემოწმების ეტაპზე კანდიდატის მიერ შესასრულებელ ქმედებებთან დაკავშირებით;

დ) საბითუმო ბაზრის სუბიექტთან შემოწმების ეტაპის ჩატარების დროის შეთანხმებას.

2. საბითუმო ბაზრის სუბიექტი ვალდებულია სსე-ს მიაწოდოს შემოწმების ეტაპის ფარგლებში სსე-სთან ურთიერთობისათვის შესაბამისი უფლებამოსილი პირის საკონტაქტო მონაცემები (სახელი და გვარი, ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი). იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება აღნიშნული მონაცემების მიწოდება მოსამზადებელი ეტაპის დაწყებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში, სსე-სთან ურთიერთობაზე უფლებამოსილ პირად მიიჩნევა ის პირი, რომელიც მითითებულია აღნიშნული საბითუმო ბაზრის სუბიექტის წარმომადგენლად მის სარეგისტრაციო განაცხადში.

მუხლი 3. შემოწმების ეტაპი

1. სსე უზრუნველყოფს საბითუმო ბაზრის სუბიექტისათვის ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანი წესების გაცნობას შემოწმების ეტაპის დაწყებამდე. ამასთანავე, სსე-მ უნდა უზრუნველყოს ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემით სარგებლობასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის გამოქვეყნება თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

2. სსე-ს მითითებებისა და ბაზრის წესებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად, შემოწმების ეტაპი მოიცავს საბითუმო ბაზრის სუბიექტის საკომუნიკაციო სისტემით სარგებლობის შესაბამისობის შემოწმებას შემდეგი კომპონენტების ნაწილში:

ა) ნომინაციის გეგმა-გრაფიკის წარდგენა (xml-ფაილში);

ბ) წარდგენილი ნომინაციის გეგმა-გრაფიკის მიღების პროგრამული დადასტურება (xml-ფაილში);

გ) ნომინაციის გეგმა-გრაფიკის წარდგენის დამადასტურებელი დოკუმენტის (xml-ფაილში) მიღება საბითუმო ბაზრის სუბიექტის მიერ;

დ) იმ შემთხვევაში, თუ საბითუმო ბაზრის სუბიექტი ელექტროენერჯის მწარმოებელი ან მიმწოდებელია, დამატებით მოწმდება ელექტროენერჯის წარმოების/მიწოდების გეგმა-გრაფიკის წარდგენა (ERRP xml-ფაილში);

ე) იმ შემთხვევაში, თუ საბითუმო ბაზრის სუბიექტი დაბალანსების მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრაციის მსურველია, დამატებით მოწმდება:

ე.ა) სატენდერო წინადადების წარდგენა ბაზრის მართვის ელექტრონულ სისტემაში;

ე.ბ) წარდგენილი სატენდერო წინადადების შედეგის ამსახველი დოკუმენტის მიღება (xml-ფაილში);

ე.გ) საბალანსო პროდუქტის ფიზიკური გააქტიურების შესაძლებლობა.

მუხლი 4. შესაბამისობის დადგენის ეტაპი

1. შემოწმების ეტაპის დასრულების შედეგად საბითუმო ბაზრის სუბიექტის მიერ საკომუნიკაციო სისტემით სარგებლობის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, ბაზრის

წესებით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით, საბითუმო ბაზრის სუბიექტთან ფორმდება დაბალანსებაზე პასუხისმგებლობის შესახებ სტანდარტული ხელშეკრულება.

2. იმ შემთხვევაში, თუ შემოწმების ეტაპის ფარგლებში არ დადგინდა საბითუმო ბაზრის სუბიექტის საკომუნიკაციო საშუალებების შესაბამისობა ბაზრის წესებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, სსე უზრუნველყოფს საბითუმო ბაზრის სუბიექტისათვის დასაბუთებული წერილის გაგზავნას ბაზრის წესებით დადგენილი წესით, შესაბამისი გარემოებებისა და შედეგების მითითებით.

მუხლი 5. კონფიდენციალურობა

სსე ვალდებულია დაიცვას ამ წესის შესაბამისად საკომუნიკაციო სისტემით სარგებლობის შემოწმების ფარგლებში მის მიერ მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

საბითუმო ბაზრის სუბიექტის მიერ საკომუნიკაციო სისტემით სარგებლობის შესაბამისობის შესახებ ოქმი N0000

საბითუმო ბაზრის სუბიექტის მიერ საკომუნიკაციო სისტემით სარგებლობის შესაბამისობის შესახებ ოქმის (შემდგომ – ოქმი) შემდგენელი სსე-ს უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი და თანამდებობა:-----;

ოქმის შედგენის თარიღი, დრო და ადგილი: -----;

საბითუმო ბაზრის სუბიექტის სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა და საიდენტიფიკაციო კოდი: -----.

I. საკომუნიკაციო და საორგანიზაციო მოთხოვნები, რომელსაც აკმაყოფილებს საბითუმო ბაზრის სუბიექტი:

1. საბითუმო ბაზრის სუბიექტს გამოყოფილი ჰყავს საკონტაქტო პირი, რომელიც უფლებამოსილია საბითუმო ბაზრის სუბიექტის სახელით სსე-სთან ურთიერთობისათვის:

სახელი, გვარი: -----

პირადი ნომერი: -----

მობ. ტელეფონი: -----

ელ. ფოსტა: -----

მოთხოვნებთან შესაბამისობა	კი <input type="checkbox"/>	არა <input type="checkbox"/>
---------------------------	-----------------------------	------------------------------

2. საბითუმო ბაზრის სუბიექტს შეუძლია მონაცემების მიღება და გაგზავნა შემდეგ კომპონენტებში:

2.1. ნომინაციის გეგმა-გრაფიკის წარდგენა (xml-ფაილში):

მოთხოვნებთან შესაბამისობა	კი <input type="checkbox"/>	არა <input type="checkbox"/>
---------------------------	-----------------------------	------------------------------

2.2. წარდგენილი ნომინაციის გეგმა-გრაფიკის მიღების პროგრამული დადასტურება (xml-ფაილში):

მოთხოვნებთან შესაბამისობა	კი <input type="checkbox"/>	არა <input type="checkbox"/>
---------------------------	-----------------------------	------------------------------

2.3. ნომინაციის გეგმა-გრაფიკის წარდგენის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღება (xml-ფაილში):

მოთხოვნებთან შესაბამისობა	კი <input type="checkbox"/>	არა <input type="checkbox"/>
---------------------------	-----------------------------	------------------------------

3. ელექტროენერჯის მწარმოებელს ან მიმწოდებელს შეუძლია მონაცემების მიღება და გაგზავნა შემდეგ კომპონენტში:

ელექტროენერჯის წარმოების/მიწოდების გეგმა-გრაფიკის წარდგენა (ERRP xml-ფაილში):

მოთხოვნებთან შესაბამისობა	კი <input type="checkbox"/>	არა <input type="checkbox"/>
---------------------------	-----------------------------	------------------------------

4. საბითუმო ბაზრის სუბიექტს საბალანსო პროდუქტის მიმწოდებელი ობიექტისათვის შეუძლია მონაცემების მიღება და გაგზავნა შემდეგ კომპონენტში:

4.1. სატენდერო წინადადების წარდგენა ბაზრის მართვის ელექტრონულ სისტემაში:

მოთხოვნებთან შესაბამისობა	კი <input type="checkbox"/>	არა <input type="checkbox"/>
---------------------------	-----------------------------	------------------------------

4.2. წარდგენილი სატენდერო წინადადების შედეგის ამსახველი დოკუმენტის მიღება (xml-ფაილში):

მოთხოვნებთან შესაბამისობა	კი <input type="checkbox"/>	არა <input type="checkbox"/>
---------------------------	-----------------------------	------------------------------

4.3. საბალანსო პროდუქტის ფიზიკური გააქტიურების შესაძლებლობა:

ხელით	კი <input type="checkbox"/>	არა <input type="checkbox"/>
-------	-----------------------------	------------------------------

ელექტრონულად	კი <input type="checkbox"/>	არა <input type="checkbox"/>
--------------	-----------------------------	------------------------------

ცენტრალური დისპეტჩირებით	კი <input type="checkbox"/>	არა <input type="checkbox"/>
--------------------------	-----------------------------	------------------------------

II. საბითუმო ბაზრის სუბიექტის მიერ საკომუნიკაციო სისტემით სარგებლობა შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს:

მოთხოვნებთან შესაბამისობა	კი <input type="checkbox"/>	არა <input type="checkbox"/>
---------------------------	-----------------------------	------------------------------

(ოქმის შემდგენელი სსე-ს პასუხიმგებელი პირის ხელმოწერა)

შენიშვნა/სავალდებულოდ ივსება მოთხოვნასთან შესაბამისობაზე უარყოფითი შეფასების დეტალების ან/და მიზეზების მისაბუთებლად/: